

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2010 წლის 30 ივლისის

დადგენილება № 301

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ და პუნქტები 4.1-4.4 , 5.7 და 5.14 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

#### **4. სტუდენტის საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები**

- 4.1. სტუდენტი ვალდებულია დეკანატში გაიაროს ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) და აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) რეგისტრაცია; საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სწავლების პირველ წელს, მობილობის ან ალდგენის წესით ჩარიცხვისას, – სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე;
- 4.2. საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და სტუ-ს რექტორს შორის; სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო წლის (მობილობის ან ალდგენის წესით მეორე სემესტრის წინ ჩარიცხვისას – აღნიშნული სემესტრის) განმავლობაში გასავლელი სასწავლო კურსების ნუსხას (დანართი1).

- 4.3. შევსებულ საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებებს ხელს აწერს უშუალოდ სტუდენტი; სტუდენტის არასრულწლოვანებისას საფინანსო ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე მისი მშობელი.
- 4.4. ხელშეკრულებები ფორმდება ორ ეგზემპლარად – ერთი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება დეკანატში სტუდენტის პირად საქმეში. სტუდენტმა სწავლების საფასური უნდა გადაიხადოს საფინანსო ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში.
- 5.7. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად სწავლა გააგრძელოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში: ბაკალავრიატში – არა უმეტეს 4 სემესტრისა, სწავლების დანარჩენ საფეხურებზე (დიპლომირებული სპეციალისტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე) – არა უმეტეს 2 სემესტრისა, ან ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ფარგლებში შეიცვალოს სპეციალობა. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების თაობაზე მან აღნიშნული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო სპეციალობის შეცვლის თაობაზე შიდა მობილობისათვის დადგენილ ვადებში განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. სტუდენტთან ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს შესაბამისი საუნივერსიტეტო ბრძანების საფუძველზე, მისი გამოსვლიდან არა უგვიანეს ერთ კვირაში. სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 4.5 პუნქტის მიხედვით. სწავლების დამატებით სემესტრებში ყოველი სასწავლო კურსის ხელახლა გავლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ. სტუდენტისთვის სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი ღირებულება განისაზღვრება 5.5 პუნქტის თანახმად, ბოლო სასწავლო წლის სწავლის საფასურის მიხედვით, ხოლო სპეციალობის შეცვლისას სწავლების წლიური საფასურის და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების ღირებულება იქნება იგივე, რაც დადგენილია მიმდები ფაკულტეტის სწავლების იგივე წლის სტუდენტებისათვის. ამ პუნქტში მითითებული მიზნებისათვის სპეციალობის შეცვლის და/ან დამატებითი

სემესტრის/სემესტრების აღების უფლება სტუდენტს შეიძლება მიეცეს მხოლოდ ერთხელ.

5.14. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს, რომელიც 5.7 პუნქტში მითითებულ ვადაში განცხადებით არ მიმართავს რექტორს დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების ან სხვა სპეციალობაზე გადასვლის თაობაზე, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე